

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2 2017 წლის 15 თებერვალი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016 წ., 190020020.35.140.016243) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 2017 წელი თავი I

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი									
დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	5 565,0	2 642,4	2 922,5	8 545,7	2 674,5	5 871,2	3 690,0	0,0	3 690,0
გადასახადები	217,4	0,0	217,4	3 225,3	0,0	3 225,3	3 200,0	0,0	3 200,0
გრანტები	4 884,8	2 642,4	2 242,4	4 818,8	2 674,5	2 144,3	126,0	0,0	126,0
სხვა შემოსავლები	462,7	0,0	462,7	501,6	0,0	501,6	364,0	0,0	364,0
ხარჯები	2 536,9	44,6	2 492,3	2 982,7	0,0	2 982,7	3 350,7	3,8	3 346,9



შრომის ანაზღაურება	842,7	0,0	842,7	906,5	0,0	906,5	866,2	0,0	866,2
საქონელი და მომსახურება	655,5	44,6	610,9	787,5	0,0	787,5	909,4	2,1	907,3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სუბსიდიები	799,5	0,0	799,5	1 017,6	0,0	1 017,6	1 164,2	1,7	1 162,5
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	168,1	0,0	168,1	179,8	0,0	179,8	190,5	0,0	190,5
სხვა ხარჯები	71,2	0,0	71,2	91,3	0,0	91,3	220,4	0,0	220,4
საოპერაციო სალდო	3 028,0	2 597,8	430,2	5 563,0	2 674,5	2 888,5	339,3	-3,8	343,1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3 146,8	2 764,9	382,0	3 769,6	2 398,6	1 371,0	2 493,1	495,4	1 997,7
ზრდა	3 230,3	2 764,9	465,4	3 838,4	2 398,6	1 439,8	2 503,1	495,4	2 007,7
კლება	83,4	0,0	83,4	68,8	0,0	68,8	10,0	0,0	10,0
მთლიანი სალდო	-118,8	-167,0	48,2	1 793,4	275,9	1 517,4	-2 153,8	-499,2	-1 654,6
ფინანსური აქტივების ცვლილება	-119,5	-167,0	47,6	1 786,4	272,7	1 513,7	-2 234,5	-552,7	-1 681,8
ზრდა	47,6	0,0	47,6	1 786,4	272,7	1 513,7	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	47,6		47,6	1 786,4	272,7	1 513,7	0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	167,0	167,0	0,0	0,0	0,0	0,0	2 234,5	552,7	1 681,8
ვალუტა და დეპოზიტები	167,0	167,0		0,0			2 234,5	552,7	1 681,8



ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-0,7	0,0	-0,7	-3,3	-3,3	0,0	-80,7	-53,4	-27,2
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	0,7	0,0	0,7	3,3	3,3	0,0	80,7	53,4	27,2
საგარეო	0,7	0,0	0,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	0,0	0,0	3,3	3,3	0,0	80,7	53,4	27,2
ბალანსი	0,000	0,000	0,000	3,755	0,000	3,755	0	0	0

მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
						სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	5 648,4	8 614,5	2 674,5	5 940,0	3 700,0	0,0	3 700,0
შემოსავლები	5 565,0	8 545,7	2 674,5	5 871,2	3 690,0	0,0	3 690,0
არაფინანსური აქტივების კლება	83,4	68,8	0,0	68,8	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	5 767,9	6 828,2	2 401,9	4 426,3	5 934,5	552,7	5 381,8
ხარჯები	2 563,9	2 982,7	0,0	2 982,7	3 350,7	3,8	3 346,9



არაფინანსური აქტივების ზრდა	3 230,3	3 838,4	2 398,6	1 439,8	2 503,1	495,4	2 007,7
ვალდებულებების კლება	0,7	3,3	3,3	0,0	80,7	53,4	27,2
ნაშთის ცვლილება	-146,5	1 786,3	272,7	1 513,6	-2 234,5	-552,7	-1 681,8

მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსულობები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 3 700,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	5648,4	8 614,5	2 674,5	5 940,0	3 700,0	0,0	3 700,0
შემოსავლები	5565,0	8 545,7	2 674,5	5 871,2	3 690,0	0,0	3 690,0
არაფინანსური აქტივების კლება	83,4	68,8	0,0	68,8	10,0	0,0	10,0
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3 200,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	217,4		3 225,3	0,0	3 225,3	3 200,0	0,0	3 200,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0		167,1		167,1	200,0		200,0
ქონების გადასახადი	217,4		3 058,2	0,0	3 058,2	3 000,0	0,0	3 000,0
საქართველოს საწარმოთა	85,2		2 855,1		2 855,1	2		2 959,0



ქონებაზე (გარდა მიწისა)						959,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,9		0,6	0,0	0,6	4,0	0,0	4,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,2		0,6		0,6	4,0		4,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	0,7		0,0			0,0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	119,3		163,1	0,0	163,1	30,0	0,0	30,0
ფიზიკური პირებიდან	118,4		136,5		136,5	25,0		25,0
იურიდიული პირებიდან	0,9		26,6		26,6	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	12,0		39,4	0,0	39,4	7,0	0,0	7,0
ფიზიკური პირებიდან	2,6		1,8		1,8	2,0		2,0
იურიდიული პირებიდან	9,4		37,5		37,5	5,0		5,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0		0,0			0,0		
სხვა გადასახადები	0,0		0,0			0,0		

მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 126,0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	4 884,8	4 818,8	2 674,5	2 144,3	126,0	0,0	126,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4 884,8	4 818,8	2 674,5	2 144,3	126,0	0,0	126,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	2 242,4	2 144,3	0,0	2 144,3	126,0	0,0	126,0
გათანაბრებითი ტრანსფერი	2 116,4	2 018,3		2 018,3	0,0		
მიზნობრივი ტრანსფერი დეღეგა-რეზული უფლებამოსილების განსახორციელებლად	126,0	126,0	0,0	126,0	126,0		126,0



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2 642,4	2 674,5	2 674,5	0,0	0,0	0,0	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2 365,2	2 399,8	2 399,8	0,0	0,0	0,0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	277,3	274,8	274,8	0	0	0	0

მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 364,0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	462,7	501,6	0,0	501,6	364,0	0,0	364,0
შემოსავლები საკუთრებიდან	343,4	421,0	0,0	421,0	310,0	0,0	310,0
პროცენტები	16,3	78,1		78,1	0,0		0,0
რენტა	327,2	342,8	0,0	342,8	310,0	0,0	310,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	317,3	326,5		326,5	310,0		310,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	9,9	16,3		16,3	0,0		0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16,9	21,7	0,0	21,7	4,0	0,0	4,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	16,9	11,7	0,0	11,7	4,0	0,0	4,0
სანებართვო მოსაკრებელი	10,5	1,5		1,5	4,0		4,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	4,1	0,0		0,0	0,0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,3	10,2	0,0	10,2	0,0		



არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0	10,0	0,0	10,0	0,0	0,0	0,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	102,4	58,9		58,9	50,0		50,0

მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 3 350,7 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	2 563,9	44,6	2 492,3	2 982,7	0,0	2 982,7	3 350,7	3,8	3 346,9
	შრომის ანაზღაურება	842,7	0,0	842,7	906,5	0,0	906,5	866,2	0,0	866,2
	საქონელი და მომსახურება	655,5	44,6	610,9	787,5	0,0	787,5	909,4	2,1	907,3
	სუბსიდიები	799,5	0,0	799,5	1 017,6	0,0	1 017,6	1 164,2	1,7	1 162,5
	სოციალური უზრუნველყოფა	168,1	0,0	168,1	179,8	0,0	179,8	190,5	0,0	190,5
	სხვა ხარჯები	71,2	0,0	71,2	91,3	0,0	91,3	220,4	0,0	220,4

მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2 493,1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2 503,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	40,6	0	40,6	101,6	0	101,6	44,0	0,8	43,1



თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	4,2	0	4,2	0	0	0	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3003,0	2762,7	240,3	3 370,2	2 136,2	1 234,0	1 563,8	488,9	1 074,9
განათლება	159,5	0	159,5	23,2	0,0	23,2	145,6	0,0	145,6
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	23,0	2,1	20,8	343,5	262,4	81,1	749,7	5,6	744,1
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0,1	0	0,1	0	0	0
სულ ჯამი	3 230,3	2 764,9	465,4	3 838,4	2 398,6	1 439,8	2 503,1	495,4	2 007

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	83,4	0,0	83,4	68,8	0,0	68,8	10,0	0,0	10,0
ძირითადი აქტივები	1,4		1,4	15,7		15,7	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	82,1	0,0	82,1	53,1	0,0	53,1	10,0	0,0	10,0
მიწა	82,1		82,1	10,0		10,0	10,0	0,0	10,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა



ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც-კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 220,5	0,0	1 220,5	1 356,4	0,0	1 356,4	1 435,7	0,9	1 434,8
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 220,5	0,0	1 220,5	1 356,4	0,0	1 356,4	1 435,7	0,9	1 434,8
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 220,5	0,0	1 220,5	1 356,4	0,0	1 356,4	1 365,7	0,9	1 364,8
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	70,0	0,0	70,0
702	თავდაცვა	70,9	0,0	70,9	71,9	0,0	71,9	75,1	0,0	75,1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2,6	0,0	2,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	2,6	0,0	2,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7033	სასამართლოები და პროკურატურა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7034	სასჯელაღსრულების დაწესებულებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7035	გამოყენებითი კვლევები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



	უსაფრთხოების სფეროში									
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 412,4	2 116,7	295,6	3 481,7	2 136,2	1 345,5	1 545,3	492,7	1 052,6
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	377,4	277,3	100,1	500,9	272,7	228,2	222,5	3,8	218,7
70421	სოფლის მეურნეობა	377,4	277,3	100,1	500,9	272,7	228,2	222,5	3,8	218,7
70422	სატყეო მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7045	ტრანსპორტი	2 035,0	1 839,5	195,5	2 980,8	1 863,5	1 117,3	1 322,8	488,9	833,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 035,0	1 839,5	195,5	2 980,8	1 863,5	1 117,3	1 322,8	488,9	833,9
705	გარემოს დაცვა	159,6	0,0	159,6	140,0	0,0	140,0	190,0	0,0	190,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	159,6	0,0	159,6	140,0	0,0	140,0	190,0	0,0	190,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7055	გამოყენებითი კვლევები გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	944,2	690,6	253,6	335,9	0,0	335,9	721,9	0,0	721,9
7061	ბინათმშენებლობა	698,8	649,9	48,8	10,9	0,0	10,9	50,0	0,0	50,0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



7064	გარე განათება	170,3	0,0	170,3	243,2	0,0	243,2	596,0	0,0	596,0
7065	გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	75,1	40,7	34,4	81,8	0,0	81,8	75,9	0,0	75,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	63,1	0,0	63,1	64,1	0,0	64,1	61,0	0,0	61,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,8	0,0	0,8	1,0	0,0	1,0	1,0	0,0	1,0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0,8	0,0	0,8	1,0	0,0	1,0	1,0	0,0	1,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	62,4	0,0	62,4	63,1	0,0	63,1	60,0	0,0	60,0
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	626,5	2,1	624,4	1 061,4	262,4	798,9	1 473,7	5,6	1 468,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	152,3	2,1	150,1	225,9	52,7	173,3	181,3	0,3	181,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	405,8	0,0	405,8	752,7	209,8	543,0	1 213,9	5,3	1 208,6
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	40,0	0,0	40,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7085	გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	28,5	0,0	28,5	32,7	0,0	32,7	28,5	0,0	28,5
709	განათლება	681,0	0,0	681,0	794,6	0,0	794,6	1 234,0	0,0	1 234,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	681,0	0,0	681,0	794,6	0,0	794,6	1 234,0	0,0	1 234,0
7092	ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70922	საბაზო ზოგადი განათლება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	172,2	0,0	172,2	200,2	0,0	200,2	205,0	0,0	205,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	73,1	0,0	73,1	96,1	0,0	96,1	90,0	0,0	90,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	38,7	0,0	38,7	61,8	0,0	61,8	55,0	0,0	55,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	34,4	0,0	34,4	34,3	0,0	34,3	35,0	0,0	35,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	99,1	0,0	99,1	104,1	0,0	104,1	115,0	0,0	115,0
	სულ	6 353,0	2 809,5	3 543,6	7 506,3	2 398,6	5 107,7	6 941,8	499,2	6 442,6

მუხლი 10. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი შეადგენს 70,0 ათასი ლარს და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 11. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 126,0 ათასი ლარი, მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 55,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 1,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 12. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილია 206,0 ათასი ლარი; ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულება



სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურის დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

მუხლი 13. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 75,1 ათასი ლარით (პროგრამული კოდი (02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ასპინძის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 2 233,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპორექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია – 1 397,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიის არსებული ქუჩების, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 684,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დასუფთავება.



ბ.ა) დასუფთავება – 190,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარიულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ბ.ბ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 298,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ასპინძის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი რამდენიმე სოფლების რეაბილიტირებულ გზებზე ღამის განათება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია ასევე მისი გაფართოება.

ბ.გ) სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია – 146,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში დაზიანებული სარწყავი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია. არსებული სარწყავი სისტემების აღგენა რეაბილიტაცია და მოქმედი სარწყავი სისტემების მოვლა-შენახვა.

ბ.დ) ბინათმშენებლობა – 50,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა ასევე საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფსადების რეაბილიტაცია.

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა – 75,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

• მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

შედგენილი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება.

• შეფასების ინდიკატორები:

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

დ) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახურციელებელი ღონისძიებები – 75,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების ფარგლებში პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დაფინანსება.

3.განათლება – 617,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

ასპინძის მუნიციპალიტეტის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების დაფინანსებას იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.



ა) ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები – 400,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01 01)

ასპინძის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 350-მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

ბ) ბაღების რეაბილიტაცია – 217,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღების ინვენტარით აღჭურვა და ეზოების კეთილმოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი – 1 306,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის ხელშეწყობის და სპორტული ტრადიციების დაცვა და მათი განვითარება.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 181,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა – 8,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კალათბურთში;
- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინიფეხბურთში;
- მაგიდის ჩოგბურთი;
- მხიარული სტარტები;
- მკლავჭიდი;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში;
- მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში.

ა.ბ) სპორტული კლუბები – 126,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის სპორტული შეჯიბრებები სხვადასხვა სფეროში:

- რაგბის კლუბი ლომები (საქართველოს ჩემპიონატი ბ ლიგა);
- ფეხბურთის კლუბი ვარძია (ფეხბურთში მომამზადებელი ჯგუფი);



- მშვილდოსნობა; კლუბი „ჩუბინები“;

- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;

- ძიუდოს კლუბი „შორეთი“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;

- სახელოვნებო განათლების დონის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებები;

- კულტურულ ცხოვრებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა.

ა.გ) ა(ა)იპ – სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“ – 47,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში;

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 1 046,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამები.

ბ.ა) ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი – 120,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები.

კერძოდ,

- ფოლკლორული სადამოები;

- საესტრადო კონცერტები;

- ქალთა საერთაშორისო დღე;

- საშემოდგომო ღონისძიებები;

- საახალწლო ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში;

ბ.ბ) მთავარი ბიბლიოთეკა – 48,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ზემოაღნიშნული პროგრამა ეხმარება ასპინძის მუნიციპალიტეტის მკითხველ მოსახლეობას ცოდნის ამაღლებაში ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების, გამდიდრების, რეგისტრაციისა



და მათი საგანგებო რეჟიმით დაცვის ხელშეწყობას, ასევე წიგნადი ფონდის შევსებას თანამედროვე ლიტერატურით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მკითხველთა დაინტერესება;

ბ.გ) სახელოვნებო სკოლები – 90, 0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლაში ამჟამად სწავლობს 101 მოსწავლე (მაღალ კლასში 61 მოსწავლე, დაბალ კლასში 40 მოსწავლე), მათი მიზანია ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები კერძოდ: საშობაო საახალწლო კვირეული, საშობაო კარნავალი და საგაზაფხულო კონცერტები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება მუსიკის სფეროში;
- სახელოვნებო განათლების დონის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურულ ცხოვრებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობის ზრდა;
